

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## განკარგულება №

\_\_\_ ნოემბერი, 2020 წელი

ქალაქი ბათუმი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებული 145 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებული 145 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.21.10.009) გვი კომახიძისათვის (პ/ნ 61001079796) პირდაპირი განკარგვის წესით, 05 წლის ვადით იჯარით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

2. წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 6000,0 (ექვსი ათასი) ლარის ოდენობით.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიმე

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

### პროექტის სახელწოდება და სათაური

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებული 145 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით (№19/1420325163-03, 20.11.2020წ.); მომართა გივი კომახიძემ, რომლითაც ითხოვს მის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქ. №2-ში მდებარე 200,0 კვმ (ს/კ 05.21.10.007.04.516) ფართის წინ არსებული, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული მიწის ნაკვეთის იჯარით აღებას. ხსენებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე განმცხადებელი გამოთქვამს სურვილს განათავსოს მსუბუქი კონსტრუქციის (რკინის კონსტრუქცია და მინა) ნაგებობა, მისი კუთვნილი კომერციული ფართის გაფართოვების მიზნით.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება უსასყიდლოდ.

ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია დაკმაყოფილდეს გივი კომახიძის განცხადება და მის საკუთრებაში არსებულ მოქმედ ობიექტთან ფუნქციურად დაკავშირებული სივრცის გამოყენების მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით, 05 წლის ვადით, იჯარით სარგებლობაში გადაეცეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებული 145,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.21.10.009; მიწის საპრივატიზებო ღირებულება 111 650,0 ლარი; 5%-5582,5 ლარი; აუდიტის დასკვნა №ბთ/მ-101; 26.10.2020წ.). მიწის ნაკვეთის ნაკვეთის წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვროს 6 000,0,0 (ექვსი ათასი) ლარის ოდენობით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის კომერციულ საქმიანობაში გამოყენების მიზნით იჯარით სარგებლობაში გადაცემა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელების შემთხვევაში, სარგებლობის ვადის განმავლობაში სარგებლობის უფლების მქონე პირის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სარგებლობის საფასურის სახით ყოველწლიურად განხორციელდება 6000,0 ლარის შეტანა.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის  
მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების  
მართვის სამსახურის უფროსის  
მოვალეობის შემსრულებელი

დავით კოპინაძე